



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31222762
თარიღი: 03/10/2022

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია შედგებოდა 10 წევრისაგან, რომელიც პარტიული და ფრაქციული ნიშნით მრავალფეროვანია: გიორგი იმნაიშვილი კომისიის თავმჯდომარე „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“; ლოლიტა ურუშაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; გივი ცინცაძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; გიორგი გოგუაძე- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; კახა თედორაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; სპარტაკ კვაჭაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; ზაზა წულაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; ელისო ჭიჭინაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; ემზარ თევდორაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; ჯუმბერ ბლაგიძე ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის.“ დღეის მდგომარეობით კომისია საკუთარი სურვილით დატოვა გიორგი გოგუაძემ.

კომისიის სხდომებზე დასწრების მაჩვენებელი არის შემდეგნაირი: კახა თედორაძე-6 გაცდენა; ელისო ჭიჭინაძე-4 გაცდენა; სპარტაკ კვაჭაძე-1 გაცდენა; ლოლიტა ურუშაძე 1 გაცდენა; ემზარ თევდორაძე-6 გაცდენა; გივი ცინცაძე-4 გაცდენა; ჯუმბერ ბლაგიძე-2 გაცდენა; ზაზა წულაძე-1 გაცდენა; გიორგი გოგუაძე-1 გაცდენა.

კომისიამ საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად საანგარიშო პერიოდში ჩაატარა კომისიის 9 სხდომა. განიხილა 13 საკითხი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს რეაგირებისთვის გადაეგზავნა 6 პრობლემური საკითხი. კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები. საკრებულოს შესაბამისი კომისია და მისი წევრები საანგარიშო პერიოდში აქტიურად მონაწილეობდნენ მათ შერჩევაში და განხორციელების მონიტორინგში.

2021 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდა 2 210 527 ლარის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, ხოლო მიმდინარე წელს 168 474 ლარის ღირებულების შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. ქალაქ ლანჩხუთში განხორციელდა დუბაძის, გოგინაიშვილის, მარჯანიშვილის, გვარჯალაძის, წულაძის, ჭავჭავაძის ქუჩების და კუპრეიშვილის ქუჩის შესახვევის ასფალტირება რომელმაც შეადგინა 2 499 994 ლარი. საანგარიშო პერიოდში აღდგენილია და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სტიქიის შედეგად დაზიანებულ ხიდებს შემდეგ სოფლებში: ქვიანი, მოედანი, ბაღლეფი, გვიმბალაური, ღრმაღლეფ, ჩოჩხათი,

ლესა და ჯურუყვეთი, ასევე ქალაქ ლანჩხუთში რომელმაც შეადგინა 1 263 319 ლარი. ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯიხეთის დედათა მონასტრის ტერიტორიის ელექტროფიცირების სამუშაოები განხორციელდა რომელმაც შეადგინა 350 190 ლარი. ქალაქ ლანჩხუთში 2021 წელს მდინარის კალაპოტის გამაგრების და სანიაღვრე არხების მოწყობაზე გაიხარჯა 26000 ლარი. ასევე 2021 წელს განხორციელდა სოფელ გულიანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 140 000 ლარის ოდენობით. ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 45 5000 ლარი, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა 100 800 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ურეკი გრიგოლეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 33 4569 ლარი, ქალაქ ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე მოეწყო საფარსმავლო ბილიკი 90 7901 ლარის ღირებულების. 2021 წელს მამათის, ლესის და შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 60 608 ლარი. სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 79 124 ლარი, ხოლო აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 118 888 ლარი. ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 84 196 ლარი. სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ გრიგოლეთში ნამატი წყლის კოლექტორის მოწყობის სამუშაოებზე (სასტუმრო „ლაშთან“) დაიხარჯა 187 777 ლარი. ზემოთაღნიშნულ და სხვა დასრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯულია 7 729 389 ლარი.

რეგიონალური განვითარების ფონდით გათვალისწინებულია სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ეგნატე ნინოშვილის სახლ მუზეუმში და სოფელ გრიგოლეთში სულ 1 800 000 ლარი. ასევე მიმდინარე წელს გათვალისწინებულია შუხუთი-გაგურის შიდა სახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაციის დაწყება. რისთვისაც გამოყოფილია 1 368 422 ლარი. ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში კოლხეთის ეროვნულ პარკთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა ჯამში 1 488 980 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოჩხათის, ჩიბათის, ნინოშვილის, სუფსის და ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარეობს 89 999 ლარის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები. ამავე პროგრამის ფარგლებში ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში გათვალისწინებულია ამბულატორიის ოთახის მოწყობა 29 550 ლარი. ჩიბათის, ჩოჩხათის, სუფსის, მაჩხვარეთის და ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზების მოწყობის სამუშაოებზე დახარჯულია 49 756 ლარი. ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შუხუთის, ჩიბათის, მაჩხვარეთის და ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში შესრულებულია 100 933 ლარის სკვერების და სტადიონების მოწყობის სამუშაოები, ხოლო სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა 17 800 ლარის წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები. ნიგვზიანის, მამათის, აკეთის, აცანის, ჩოჩხათის, გვიმბალაურის, მაჩხვარეთის, ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში გათვალისწინებულია ამ პროგრამით 319 271 ლარის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ხოლო ჯურუყვეთის, ჩიბათის, ნინოშვილის და ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში გათვალისწინებულია 64 984 ლარის გარე განათების სამუშაოები.

ეს არის მოკლე ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. როგორც ვხედავთ ყურადღება ეთმობა შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციას, რომლებიც პრაქტიკულად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, ასევე ხორციელდება გაბიონების და ნაპირსამაგრი სამუშაოები, სანიაღვრე არხების, გარე განათებების და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში ტრადიციულად ოპერატიულად ხდება შემოსულ განცხადებების და კორესპონდენციების განხილვა და მათზე რეაგირება. კომისიაში საანგარიშო პერიოდში შემოსულია რამდენიმე წერილობითი კორესპონდენცია, რომლებიც შესწავლილი იყო და რეაგირებისთვის გადაეცა მერიის შესაბამის სამსახურს. კომისიაში განიხილება ამომრჩეველთა ზეპირი შეტყობინებები რომლებიც შეეხება მიმდინარე, თუ შემდგომში განსახორციელებელ

ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ხშირ შემთხვევაში კომისიის წევრებთან ერთად ადგილზე ხდება სიტუაციის შესწავლა.

პატივისცემით,

გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია-საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე